

# დროებითი რეკომენდაცია IFC -ის კლიენტებისთვის სამუშაო ადგილზე COVID-19-ით გამოწვეული ჯანმრთელობის რისკების პრევენციის და მართვის შესახებ

COVID-19-ის პანდემია ადამიანური ტრაგედიაა, რომელიც დამსაქმებლებს გლობალურად მრავალ გამოწვევას უქმნის, მათ შორის IFC-ის კლიენტებს, რომლებიც აწარმოებენ ძირითად პროდუქტებს და სერვისებს ბევრ ქვეყანაში და ქმნიან სამუშაო ადგილებს და საარსებო საშუალებებს თანამშრომლებისა და მათი ოჯახებისთვის. COVID-19-ის გავრცელების პრევენცია სამუშაო ადგილზე და უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნა მათთვის ვინც ჯერ კიდევ მუშაობს უპირველესი მნიშვნელობისაა ყველა კომპანიისთვის და ზოგადად საზოგადოებისთვის.

## ამოცანა

ამ საკონსულტაციო დოკუმენტის ძირითადი ამოცანაა აღიარებული საერთაშორისო წყაროებიდან საჯაროდ ხელმისაწვდომი რეკომენდაციების შეგროვება და IFC-ის კლიენტებისთვის მიწოდება COVID-19-ის ეპიდემიის პრევენციისა და მართვისთვის ღონისძიებების სწრაფი იდენტიფიკაციისთვის სამუშაო ადგილზე და COVID-19 ინფექციის საზოგადოებაში გავრცელების საპასუხოდ. ამ დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული წყაროები და დამატებითი ინფორმაცია მითითებულია 1-ლ დანართში.

ამ დოკუმენტის მიზანი არ არის ამომწურავი რეკომენდაციების მიწოდება, ის უფრო ზოგად, დარგისთვის სპეციფიკურ რჩევებს იძლევა. მაღალრისკიან სექტორებში მომუშავე კომპანიები სახელმძღვანელოდ დარგისთვის სპეციფიკურ პროცედურებს და სტანდარტებს უნდა იყენებდნენ. იხ. პასუხისმგებლობის სრული შეზღუდვა დოკუმენტის ბოლოს.

ამ დოკუმენტს უნდა გაეცნოთ IFC-ის მიერ COVID-19 -თან დაკავშირებით მომზადებულ შემდეგ დოკუმენტებთან ერთად:

- დროებითი რეკომენდაცია IFC-ის კლიენტებისთვის თანამშრომლების მხარდასაჭერად COVID-19-ის კონტექსტში, რომელიც იძლევა რჩევებს იმასთან დაკავშირებით თუ როგორ განხორციელდეს თანამშრომლების დახმარება COVID-19 კრიზისის დროს და როგორ იქნეს განხილული მისი შესუსტების ვარიანტები.
- დროებითი რეკომენდაცია IFC-ის კლიენტებისთვის COVID-19 -ის საგანგებო მზადყოფნის და საპასუხო ღონისძიებების გეგმის შემუშავების შესახებ, რომელიც გამიზნულია კომპანიების დასახმარებლად რისკების იდენტიფიკაციაში, პასუხისმგებლობების განაწილებაში და COVID-19-თან დაკავშირებულ გამოწვევებზე ეფექტური რეაგირების დაგეგმვაში.

## პრევენცია და საპასუხო ღონისძიებები

თითოეული კომპანიისთვის რეკომენდებულია სპეციალური გუნდის შექმნა, რომლის პასუხისმგებლობაც იქნება ისეთი ღონისძიებების იდენტიფიკაცია და განხორციელება, რომლებიც შეარბილებს COVID-19 -ის ზემოქმედებას კომპანიაზე და საზოგადოებაზე. ქვევით წარმოდგენილი თითოეული თავი იძლევა პრაქტიკულ მაგალითებს რომლებიც კომპანიამ უნდა განახორციელოს.

### ინფორმაციის მიწოდება COVID-19<sup>(1, 3, 16, 20)</sup> -ის შესახებ

დაავადების წინა ეპიდემიებმა აჩვენა, რომ ინფორმაციის გავრცელება და ტრენინგი წარმოადგენს ეფექტურ გზას რისკის შესამცირებლად როგორც კომპანიის, ისე საზოგადოებისთვის.

კომპანიებისთვის რეკომენდებულია ინფორმაციის მომზადება და მიწოდება სანიმუშო პრაქტიკის შესახებ COVID-19-ის გადაცემის პრევენციისთვის, განსაკუთრებით სოციალური დისტანცირების პრინციპის დაცვა და პერსონალის ტრენინგი, რომ ამოიცნონ COVID-19-ის სიმპტომები და ესმოდეთ თუ რა საპასუხო ღონისძიებები უნდა განახორციელონ დოკუმენტში წარმოდგენილი რჩევების შესაბამისად.

## COVID-19 -ისთვის დამახასიათებელი სიმპტომები<sup>(11, 22)</sup>

ცხელება, დაღლილობა, სუნთქვის გაძნელება, მშრალი ხველა, შემცივნება, განმეორებითი შემცივნება კანკალით, კუნთების ტკივილი, თავის ტკივილი, ყელის ტკივილი, ყნოსვის და გემოს შეგრძნების უეცარი დაკარგვა. ზოგიერთ პაციენტს შეიძლება ჰქონდეს ცხვირის გაჭედვა, სურდო ან დიარეა. სიმპტომები შეიძლება გამოაშკარავდეს დაინფიცირებიდან მეორე-მეთოთხმეტე დღეს.

არ უნდა ჰქონდეს ადგილი დისკრიმინაციას ან სტიგმატიზაციას COVID-19 -ით დაავადებული ადამიანების ან მათი ოჯახების მიმართ.

კომპანიამ უნდა განსაზღვროს პასუხისმგებელი თანამშრომლები და საკომუნიკაციო არხები (მაგ. SMS და ელ-ფოსტა) კომპანიაში თანამშრომელთა წუხილებზე მუდმივი რეაგირებისთვის და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასეთი არხები ადეკვატურად იყოს რესურსებით დაკომპლექტებული (მაგალითად, 24 საათიანი საგანგებო საპასუხო ღონისძიებების სატელეფონო ხაზი).

## სთხოვეთ დაავადებულ ან პოტენციურად ინფიცირებულ თანამშრომლებს, რომ შინ დარჩნენ ან სახლიდან იმუშაონ.<sup>(7, 16, 20)</sup>

იმისათვის, რომ მოხდეს პოტენციურად ინფიცირებული პერსონალის სამუშაო ადგილზე მისვლის და კოლეგების ინფიცირების პრევენცია, კომპანიამ უნდა სთხოვოს თანამშრომლებს ნუ გამოცხადდებიან სამსახურში ისეთ შემთხვევებში, როცა მათ აღნიშნებათ COVID-19-ის სიმპტომები ან ჰქონდათ ახლო კონტაქტი COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევის მქონე პირთან გასული 14 დღის განმავლობაში. იმ თანამშრომლებმა, რომლებიც თავს კარგად არ გრძნობენ დაუყოვნებლივ უნდა მიაკითხონ ექიმს. თანამშრომელს, რომელიც აგრძელებს საქმიანობას მსუბუქი სიმპტომებით, შეუძლია ინფექციური დაავადების გავრცელება და სხვებისთვის გადაცემა.

კომპანიამ უნდა განიხილოს თავისი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა საავადმყოფო შვებულებასთან დაკავშირებით და განიხილოს ცვლილებები (შესაძლოა დროებითი), იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოტენციურად ავადმყოფმა თანამშრომლებმა არ იგრძნონ ზეწოლა სამსახურში მისვლასთან დაკავშირებით, და ამგვარად არ შექმნან ვირუსის გადაცემის რისკი დანარჩენი თანამშრომლებისთვის.

შეიძლება გამოყენებული იქნეს მოკლე კითხვარი. თანამშრომლები სამსახურში უნდა გამოცხადდნენ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გასცემენ პასუხს „არა“ ყველა კითხვაზე. ქვევით წარმოდგენილია მაგალითი:

- გასული ორი კვირის განმავლობაში ხომ არ გქონიათ ახლო კონტაქტი COVID-19-ის მქონე პირთან?
- გასული ორი კვირის განმავლობაში ხომ არ ყოფილხართ ქვეყანაში/რეგიონში, სადაც COVID-19-ით ინფიცირების მაღალი დონე დაფიქსირდა?
- გაქვთ თუ არა ცხელება?
- გამოიყენეთ თუ არა გასული 24 საათის განმავლობაში სიცხის დამწვევი ისეთი მედიკამენტები, როგორებიცაა პარაცეტამოლი ან ასპირინი?
- ხომ არ გახველებთ (მსუბუქად)?
- სუნთქვა ხომ არ გიმწელებათ ამჟამად?

უზრუნველყავით, რამდენადაც შესაძლებელია, რომ პერსონალს ჰქონდეს ადეკვატური წვდომა სამედიცინო კონსულტაციაზე, მათ შორის ტელეფონით, თუ ისინი გამოავლენენ სიმპტომებს.

განიხილეთ ყველა ფუნქციისთვის თუ როგორ არის შესაძლებელი სამუშაოს ადაპტაცია ისე, რომ შინ შესრულებული სამუშაო პრაქტიკული იყოს. ხელი შეუწყვეთ აღნიშნულს რამდენადაც შესაძლებელია.

## დახველების ჰიგიენა<sup>(7, 16, 19)</sup>

ვირუსის გავრცელების ყველაზე ჩვეულებრივი გზაა ინფიცირებული ადამიანის მიერ დახველება და დაცემინება. თანამშრომლებს უნდა მიეწოდოთ ინსტრუქციები თუ როგორ დაიცვან დახველების ქვევით წარმოდგენილი ეტიკეტი აღნიშნული რისკების შემცირების მიზნით:

- დაიფარეთ პირი და ცხვირი ერთჯერადი ცხვირსახოცით დახველების ან დაცემინებისას და ჩააგდეთ ცხვირსახოცი სანაგვე ყუთში.
- როდესაც ერთჯერადი ცხვირსახოცი არ არის ხელმისაწვდომი, დაახველეთ ან დააცემინეთ მოხრილ იდაყვში და არა ხელში.
- დახველების ან დაცემინების შემდეგ გაიწმინდეთ ხელები, უმჯობესია საპნით და წყლით ხელის დაბანა, ჯანდაცვის ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად. თუ საპონი და წყალი არ არის ხელმისაწვდომი, გამოიყენეთ ხელის სანიტარული დამუშავებისთვის განკუთვნილი გელი („სანიტაიზერი“).

კომპანიამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის სათანადო ინფორმირება დახვედრებასთან და დაცემინებასთან დაკავშირებული რისკების და ასეთ დროს დასაცავი ჰიგიენური ზომების შესახებ. მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობით ხელსაბანების არსებობა თანამშრომლებისთვის ხელის წყლით და საპნით დასაბანად, და ასევე, ერთჯერადი ცხვირსახოცები და სანაგვე ყუთები. მან ასევე უნდა წახალისოს თანამშრომლები აიმაღლონ ხმა, თუ შეამჩნევენ შეუსაბამო ქცევას.

### სოციალური დისტანცირება<sup>(16, 20)</sup>

ერთი პირიდან მეორეზე ინფექციის გადაცემის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია პირისპირ კონტაქტის მაქსიმალურად შემცირება. იქ სადაც ადამიანები რეგულარულად მუშაობენ ან მართავენ სხდომებს, დაცულ უნდა იქნეს ადამიანებს შორის უსაფრთხო 2 მეტრიანი დისტანცია (ექვსი ფუტი).

კომპანიამ უნდა განსაზღვროს ყველა ის ადგილი, სადაც ადამიანები მუშაობენ ჩვეულებრივ ერთმანეთისგან 2 მეტრზე ნაკლები მანძილის დაშორებით. სამუშაო ადგილის დიზაინი და სამუშაო პროცესები უნდა შეიცვალოს ასეთი ალბათობის, რამდენადაც შესაძლებელია, მინიმუმამდე დასაყვანად. ზოგიერთი გასათვალისწინებელი მაგალითი მოიცავს შემდეგს:

- სტაციონარული სამუშაო ადგილებისთვის, როგორებიცაა ოფისები, ტანსაცმლის ფაბრიკები, შესაფუთი კონვეიერები, ხარისხის კონტროლის (QC) ოთახები, შეხვედრების ოთახები და ა.შ. მიუთითეთ უსაფრთხო დისტანცია, მაგალითად სკამების განთავსებით ან იატაკის მონიშვნით. სადაც შესაძლებელია 2 მეტრიანი ინტერვალის დაცვა, განიხილეთ სამუშაო ადგილის გაფართოება მანამდე გამოუყენებელ სივრცეში, ან პლექსიგლასის გამყოფების დამონტაჟება სამუშაო ადგილებს შორის. რეგულარულად გაასუფთავეთ გამყოფები და სამუშაო ადგილი (როგორც ეს აღწერილია ქვევით წარმოდგენილ თავში).
- იატაკზე გააკეთეთ აღნიშვნები, რომლებიც მიუთითებს უსაფრთხო დისტანციას, სადაც ადამიანები ჩვეულებრივ მოიცდიან, მაგალითად ლიფტის წინ, ქარხნის შესასვლელის კონტროლის ტერიტორიაზე, კაფეებში და ა.შ.
- უზრუნველყავით და გამოიყენეთ ადგილობრივი ვიდეოკონფერენცია შეხვედრების ჩასანაცვლებლად, როგორებიცაა ცვლის გადაცემა, საწარმოო თათბირი, ყოველკვირეული კრებები, და ა.შ.
- მიაწოდეთ ინფორმაცია ადამიანებს ახლო კონტაქტებთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ, მათ შორის, უშუალო თანამშრომლებთან, და ხელი შეუწყვეთ ალტერნატიული ქცევის დამკვიდრებას, როგორცაა უსაფრთხო დისტანციის შენარჩუნება და ხელის ჩამორთმევის ალტერნატივის გამოყენება.
- გადადეთ არაარსებითი სოციალური ღონისძიებები, განსაკუთრებით ისეთი ჯგუფებისთვის, რომლებშიც 10-ზე მეტი ადამიანია წარმოდგენილი, ან როგორც არის განსაზღვრული შესაბამისი ორგანოების მიერ.
- შეამცირეთ ადგილობრივი და საერთაშორისო მოგზაურობა (მაგალითად სავალე სამუშაოები და ვიზიტები სხვა რეგიონების საწარმოებში) მხოლოდ აბსოლუტურ მინიმუმამდე პანდემიის პერიოდში. თუ მოგზაურობა აუცილებელია, დაიცავით მოგზაურობასთან დაკავშირებული შესაბამისი შეზღუდვები. თუ მოგზაურობა არ უკავშირდება სამედიცინო ევაკუაციას, უზრუნველყავით, რომ ადამიანები, რომლებსაც უწევთ გამგზავრება არ ჰქონდეთ COVID-19 -ის სიმპტომები და არ ჰქონდათ კონტაქტი COVID-19 -ით დაავადებულ პაციენტებთან შესაბამისი ორგანოების მიერ რეკომენდებული პერიოდის განმავლობაში (შენიშვნა: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციაა 14 დღე).<sup>22</sup>
- განიხილეთ ალტერნატიული სამუშაო დღეების განსაზღვრა ან ცვლების დამატება მოცემულ საწარმოში ერთდროულად მყოფი თანამშრომლების მთლიანი რაოდენობის შესამცირებლად, რაც თანამშრომლებს მისცემს ერთმანეთისგან რეკომენდებული დისტანციის დაცვის შესაძლებლობას, კვირის განმავლობაში სამუშაოს სრულყოფილად შესრულების პარალელურად.

### ხელის სანიტარული დამუშავება<sup>(7, 16, 20)</sup>

ხელის ხშირი დაბანა საპნით და წყლით კრიტიკული მნიშვნელობისაა პერსონალს შორის ინფექციის პრევენციისთვის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციაა ჯერ წყლით ხელის ჩამობანა, შემდეგ საპნით ხელის დაბანა მინიმუმ 20 წამის განმავლობაში, კვლავ ჩამობანა და შემდეგ ქაღალდის ხელსახოცის გამოყენება ონკანის ჩასაკეტად.

კომპანიამ ხელი უნდა შეუწყოს ხელის ხშირ და გულდასმით დაბანას წყლით და საპნით და საკმარისი ადგილები გამოუყოს თანამშრომლებს საამისოდ. თუ საპონი და გამდინარე წყალი არ არის დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი, უზრუნველყავით სპირტის შემცველი ხსნარის ხელმისაწვდომობა ხელის სანიტარული დამუშავებისთვის რომლის შემადგენლობაშიც 60% სპირტია. უზრუნველყავით ასეთი საშუალებების საკმარისი რაოდენობით არსებობა და ხელმისაწვდომობა სამუშაო ადგილზე.

გამოიყენეთ მხოლოდ ერთჯერადი ქაღალდის ხელსახოცები ან ჰაერის საშრობი. ნუ გამოიყენებთ სხვა პირთან საერთო ხელსაწმენდს.

## დასუფთავება და დეზინფექცია<sup>(7)</sup>

ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის, ხშირად, ყოველდღიურად მაინც, გაწმინდეთ შეხების ზედაპირები, როგორებიცაა მაგიდები, კარის სახელურები, მოაჯირები, სინათლის ჩამრთველები, მოწყობილობები, დახლები, ტელეფონები, კლავიატურა, საპირფარეშო, ონკანი, ნიჟარა, და ა.შ.. ისარგებლეთ გამწმენდი საშუალებებით, რომლებიც რუტინულად გამოიყენება ასეთ შემთხვევებში და გაეცანით ეტიკეტზე მოცემულ ინსტრუქციებს. მრავალჯერადი გამოყენების აღჭურვილობა, როგორებიცაა მაგალითად, საცალო ვაჭრობის ურიკები ან კალათები, გაწმინდეთ ყოველი გამოყენების შემდეგ.

კომპანიამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის საკმარისი რაოდენობა ჩამოთვლილი უბნების დასუფთავებისთვის და შეამოწმოს დასუფთავების ღონისძიებების შესრულება.

მიაწოდეთ ინსტრუქციები პერსონალს რომ დაასუფთაონ საკუთარი სამუშაო ადგილი და მართვის პულტი ყოველი ცვლის ბოლოს. უზრუნველყავით ისინი აღჭურვილობით და ინსტრუქციებით თუ როგორ გააკეთონ ეს.

უზრუნველყავით ერთჯერადი საწმენდების მიწოდება ისე, რომ საერთო სარგებლობის ზედაპირები (მაგალითად, კარის სახელურები, კლავიატურა, დისტანციური კონტროლის სისტემები და მაგიდები) შეიძლება გაიწმინდოს თანამშრომლების მიერ გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ.

დასუფთავებაზე მომუშავე პერსონალს მიაწოდეთ პირადი დაცვის ტექნიკა (PPE) (იხ. პუნქტი ქვევით). დასუფთავების საშუალებების და დეზინფექტანტების გამოყენებისას დაიცავით მწარმოებელთა ინსტრუქციები.

## საკვების მომზადება<sup>(8)</sup>

სამზარეულოს პერსონალი უნდა მონაწილეობდეს თანამშრომლებისთვის უსაფრთხო საკვების მომზადებაში, სურსათის უვნებლობის ღონისძიებების გამოყენებით. სამზარეულოს პერსონალი:

- არ უნდა გამოცხადდეს სამსახურში თუ აღენიშნება სიმპტომები, როგორებიცაა ცხელება, ხველა, სუნთქვის გაძნელება ან თუ ახლო კონტაქტში იმყოფებოდა COVID-19 -ის დადასტურებული შემთხვევის მქონე პაციენტთან.<sup>10</sup>
- ვალდებულია გაიაროს ტრენინგი სურსათის უვნებლობის საერთო პრაქტიკაში, რაც მოიცავს ტანსაცმლის გამოცვლას და ხელის დაბანას სამზარეულოში ყოველ შესვლამდე. სამზარეულო ტანსაცმელი არ უნდა იყოს გამოყენებული სამზარეულოს გარეთ. ტანსაცმლის გამოსაცვლელი ოთახები ხელსაბანებით და კარადებით (სქესის მიხედვით გაყოფილი თუ შესაძლებელია) ხელმისაწვდომი უნდა იყოს. სამუშაო ტანსაცმელი უნდა გაირეცხოს ყოველდღიურად 72°C-ზე.
- არ უნდა იღებდეს მონაწილეობას დასუფთავების ან დეზინფექციის ღონისძიებებში სურსათის მომზადების და სასადილო ტერიტორიის გარეთ.
- ვალდებულია რეგულარულად დაიბანოს ხელები.
- ვალდებულია აღკვეთოს ჯვარედინი დაბინძურება, რომელიც გამოწვეულია ადამიანების მიერ ერთი და იგივე კოვზის გამოყენებით. ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს საკვების ბუფეტის სტილში წარდგენის თავიდან აცილებით. ამის ნაცვლად, საკვების მიწოდება უნდა განხორციელდეს სამზარეულოს პერსონალის მიერ მაქსიმალურად ან მიწოდება უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურ თეფშებზე.
- თანამშრომლებმა ხელი უნდა დაიბანონ საპნით სასადილოს ტერიტორიაზე შესვლამდე.

## ჰაერის ხარისხის კონტროლის ღონისძიებები<sup>(16)</sup>

ვენტილაციის ზრდა ან მაღალეფექტიანი ჰაერის ფილტრები ხელს შეუწყობს ნებისმიერი ვირუსის გაფილტვრას უბანზე და შეუძლია დაინფიცირების რისკის შემცირება.

განიხილეთ ჰაერის ხარისხის დამატებითი კონტროლის ღონისძიებები ისეთი ადგილებისთვის, სადაც ახლო პერსონალური კონტაქტი არ შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული, როგორიცაა კონტროლის ოთახები, ლიფტები, მოსაცდელი ოთახები და ა.შ.

## პირადი დაცვის ტექნიკა<sup>(21)</sup>

ადამიანები, როგორებიც არიან ჯანდაცვის მუშაკები, რომლებიც შესაძლოა ახლო კონტაქტში იყვნენ დაინფიცირებულ პირებთან, ან დაინფიცირებულ მასალასთან უნდა იყენებდნენ (ერთჯერად) ხელთათმანებს და სასუნთქი გზების დამცავ საშუალებებს, რომელთა მინიმალური რეიტინგია N95 (აშშ სტანდარტი) ან P2 (ევროკავშირის სტანდარტი) ან მსგავსი. ინფორმაციისთვის ასევე იხ. დანართი 1.

## თანამშრომელთა საერთო საცხოვრებელი<sup>(7, 8, 16, 20)</sup>

თანამშრომელთა საცხოვრებელი ეს არის ადგილი, სადაც ტიპურად ბევრი ადამიანი იმყოფება ერთმანეთის ახლოს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რითაც ქმნის გადაცემის მომატებულ რისკს.

ასეთ შემთხვევებში, დაიცავით იგივე პრინციპები, როგორც ზევითაა აღწერილი და ასევე განიხილეთ ერთი ან მეტი შემდეგი დამატებითი ღონისძიება:

- ინფიცირებული პირების საერთო საცხოვრებელში შესვლის პრევენცია და თუ საჭიროა ასეთი პირების კარანტინი ადგილობრივი წესების და/ ან რეკომენდაციების შესაბამისად, რომლებიც მიღებულია შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.
- თანამშრომელთა საცხოვრებელში სიმჭიდროვის მაჩვენებლის ლიმიტის დაცვის ხელშეწყობა, პატივისცემა და უზრუნველყოფა.
- თუ ახალი პერსონალის ჩამოსვლას აქვს ადგილი იმ ქვეყნებიდან, სადაც COVID-19 ფართოდაა გავრცელებული, უზრუნველყავით რომ ეს პირები მოექცნენ კარანტინში ადგილობრივი წესების და/ ან რეკომენდაციების შესაბამისად, რომლებიც მიღებულია შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.
- როდესაც შესაძლებელია, საერთო საცხოვრებლის კოორდინატორი ან მის მართვაზე პასუხისმგებელი პირი უნდა ახორციელებდეს მცხოვრებთა ყოველდღიური ტემპერატურის აღრიცხვის კოორდინაციას. შენიშვნა: გამოიყენეთ თერმომეტრი რომელიც გამორიცხავს ჯვარედინ დაბინძურებას და დაიცავს ტემპერატურის აღმრიცხავ პირს შესაძლო ინფექციისგან (იხ. ზევით).
- როდესაც საერთო საცხოვრებელში ბინადრობენ პირები რომლებიც COVID-19 -ით გამოწვეული ინფექციის გამო ფატალური გართულებების მაღალი რისკის წინაშე დგანან, განიხილეთ მათთვის ცალკე საცხოვრებლის გამოყოფა. ამ კონტექსტში 65 წლის ან უფროსი პირები ან ისინი ვისაც აწუხებს მაღალი წნევა, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ფილტვების დაავადება, სიმსივნე ან დიაბეტი განიხილებიან მაღალი რისკის მატარებლად.<sup>22</sup>
- უზრუნველყავით, რომ ყველა მუშაკს ჰქონდეს წვდომა ექიმთან. გამორიცხეთ ნებისმიერი ენობრივი ბარიერი.
- ხელის დასაბანად განკუთვნილი საპონი ხელმისაწვდომი უნდა იყოს თანამშრომლებისთვის ყველა სააბაზანოში. ყველა უნდა იცავდეს დასუფთავების და სამეურნეო რუტინას ყოველდღე.
- კარის სახელურები, ონკანები, ტელევიზორები / მედიატექნიკა, სამზარეულო ტექნიკა, კონტროლის სისტემები, ლილაკები და ნებისმიერი სხვა ობიექტი საერთო შეხების მქონე ადგილებში, რომლებთანაც ხდება რეგულარული შეხება უნდა გასუფთავდეს დღეში რამდენიმეჯერ. სიხშირე უნდა განისაზღვროს თითოეული ობიექტის მიერ.
- საერთო სარგებლობის ზედაპირები, მათ შორის იმ სატრანსპორტო საშუალებებში, რომლებსაც თანამშრომლები გადაჰყავს საერთო საცხოვრებელიდან სამუშაო ადგილზე, დახლები, იატაკები და კედლები უნდა დამუშავდეს როგორც პოტენციურად დაბინძურებული ზედაპირები რეგულარულად როგორც აღწერილი იყო ზევით.
- საწოლის თეთრეული უნდა გაირეცხოს 72°C-ზე კვირაში ერთხელ მაინც.
- გაწმინდეთ/ გამოცვალეთ AC ფილტრები თვეში ერთხელ მაინც.
- მინიმუმამდე დაიყვანეთ ადამიანების რაოდენობა ოთახში და გაზარდეთ რამდენადაც შესაძლებელია მანძილი საწოლებს შორის დაახლოებით 2 მეტრამდე.
- მაქსიმალურად გაზარდეთ ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაცია კომფორტის, უსაფრთხოების და პირადი ცხოვრების დაცვის შეზღუდვების ფარგლებში. განიხილეთ ცვლილებების განხორციელება ობიექტზე იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს ვენტილაცია სამუშაო საათებში.
- გამოყავით ან მოამზადეთ დამატებითი საცხოვრებელი თანამშრომლებისთვის, რომლებიც სამგზავრო შეზღუდვების გამო ვერ ბრუნდებიან სამშობლოში.

## ჯანდაცვა შორეულ რეგიონებში<sup>(23)</sup>

ძირითადად ჯანდაცვის მომსახურების გაწევა ყოველთვის უნდა ხორციელდებოდეს კვალიფიციური სამედიცინო პროფესიონალების მიერ ადგილობრივი წესების შესაბამისად. იმ პირებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ კომპანიის საერთო საცხოვრებელში და აღენიშნებათ მსუბუქი სიმპტომები და არ საჭიროებენ ჰოსპიტალიზაციას, უნდა იქნეს სათანადო მოვლა უზრუნველყოფილი ავადმყოფობის პერიოდში.

ასეთი პაციენტების მოვლა უნდა განხორციელდეს იზოლირებულად სამედიცინო ზედამხედველობის ქვეშ. დაიცავით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ან ხვა შესაბამისი ინსტიტუტის მიერ მოწოდებული მითითებები COVID-19-ით

---

---

დაავადებული პაციენტების შინ მკურნალობასთან დაკავშირებით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მითითებები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://apps.who.int/iris/handle/10665/331133>.

როდესაც ადამიანები გამოცხადებული არიან ჯანმრთელებად და უბრუნდებიან სამუშაო ადგილს, უზრუნველყავით მათთვის საკმარისი მითითებების მიწოდება დისკრიმინაციის პრევენციის ან სხვა სოციალურად არასასურველი ქცევის თავიდან ასაცილებლად.

## დანართი 1. წყაროები და სასარგებლო ბმულები:

- 1: Advisory, Conciliation and Arbitration Service ACAS UK (2020) Coronavirus COVID-19: advice for employers and employees, <https://www.acas.org.uk/coronavirus>
- 2: Canadian Union of Public Employees (2020) General occupational guidelines for COVID-19, <https://cupe.ca/general-occupational-guidelines-covid-19>
- 3: Commonwealth Development Corporation -CDC- Group (2020) COVID-19 Guidance for Employers, <https://assets.cdcgroup.com/wp-content/uploads/2020/03/23093424/COVID-19-CDC-ESG-Guidance.pdf>
- 4: Employment New Zealand (2020) Workplace response to coronavirus (COVID-19), <https://www.employment.govt.nz/about/news-and-updates/workplace-response-coronavirus-covid-19/#guidance>
- 5: EU CDC (March 2020) Coronavirus disease (COVID-19) outbreak and workplace safety and health, <https://osha.europa.eu/en/highlights/coronavirus-disease-covid-19-outbreak-and-workplace-safety-and-health>
- 6: EU CDC COVID-19 page, <https://www.ecdc.europa.eu/en/novel-coronavirus-china>
- 7: EU OSHA COVID guidance for the workplace, [https://oshwiki.eu/wiki/COVID-19:\\_guidance\\_for\\_the\\_workplace#See](https://oshwiki.eu/wiki/COVID-19:_guidance_for_the_workplace#See)
- 8: IPIECA (2016) Infectious disease outbreak management in the Oil & Gas industry. This document contains posters showing effective water-soap handwashing and sanitizing techniques and cough etiquette. <http://www.ipieca.org/resources/good-practice/infectious-disease-outbreak-management-a-programme-manual-for-the-oil-and-gas-industry/>
- 9: UK Government (2020) stay at home guidance for COVID-19, <https://www.gov.uk/government/publications/covid-19-stay-at-home-guidance/stay-at-home-guidance-for-households-with-possible-coronavirus-covid-19-infection>
- 10: United Nations – COVID-19 page: <https://www.un.org/coronavirus>
- 11: US CDC – COVID-19 page, [https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/index.html?CDC\\_AA\\_refVal=https%3A%2F%2Fwww.cdc.gov%2Fcoronavirus%2Fnovel-coronavirus-2019.html](https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/index.html?CDC_AA_refVal=https%3A%2F%2Fwww.cdc.gov%2Fcoronavirus%2Fnovel-coronavirus-2019.html)
- 12: US CDC (2020) Interim Guidance for Businesses and Employers to Plan and Respond to Coronavirus Disease 2019 (COVID-19), <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/community/guidance-business-response.html>
- 13: US CDC (2003) Guidelines for Environmental Infection Control in Health-Care Facilities, <https://www.cdc.gov/mmwr/preview/mmwrhtml/rr5210a1.htm>
- 14: US Department of Labor (2020) Coronavirus Resources, <https://www.dol.gov/coronavirus>
- 15: US National Institute of Health (2020) Coronavirus (COVID-19). <https://www.nih.gov/health-information/coronavirus> (there is Interim Guidance for Businesses and Employers to Plan and Respond to Coronavirus Disease 2019 (COVID-19))
- 16: US OSHA (2020) Preparing Workplace for COVID-19, <https://www.osha.gov/Publications/OSHA3990.pdf>
- 17: US OSHA (2020) Infectious Diseases Website, [https://www.osha.gov/SLTC/healthcarefacilities/infectious\\_diseases.html#cdc\\_guidelines](https://www.osha.gov/SLTC/healthcarefacilities/infectious_diseases.html#cdc_guidelines)
- 18: US OSHA (2020) Pandemic Influenza Guidelines, <https://www.osha.gov/SLTC/pandemicinfluenza/index.html>

- 19: US Small Business Administration (2020) Coronavirus (COVID-19): Small Business Guidance & Loan Resources. <https://www.sba.gov/page/coronavirus-covid-19-small-business-guidance-loan-resources>
- 20: WHO getting your workplace ready for COVID-19, <https://www.who.int/docs/default-source/coronaviruse/getting-workplace-ready-for-covid-19.pdf>
- 21: WHO (2020) COVID-19 advice for the public: When and how to use masks, <https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/advice-for-public/when-and-how-to-use-masks>
- 22: WHO COVID-19 page: <https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019>
- 23: WHO (2020) Home care for patients with suspected novel coronavirus (COVID-19) infection presenting with mild symptoms, and management of their contacts: interim guidance, 04 February 2020, <https://apps.who.int/iris/handle/10665/331133>
- 24: Workplace Health and Safety Electrical Safety Office Workers' Compensation Regulator – Government of Queensland, Australia (2020) Coronavirus (COVID-19) workplace risk management, <https://www.worksafe.qld.gov.au/news/2020/coronavirus-covid-19-workplace-risk-management>

© საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია 2020. ყველა უფლება დაცულია

პასუხისმგებლობის შეზღუდვა: ეს დოკუმენტი შეიცავს რეკომენდაციებს, რომლებიც გამიზნულია IFC-ის კლიენტების დასახმარებლად COVID-19-ის პანდემიაზე რეაგირებაში. კლიენტებმა ასევე უნდა მოიპოვონ COVID-19-თან დაკავშირებული ინფორმაცია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) და სხვა სპეციალიზებული საერთაშორისო ჯანდაცვის და დაავადებათა კონტროლის ორგანიზაციებიდან, ისევე როგორც ინფორმაცია ადგილობრივი, რეგიონული და სახელმწიფო ჯანდაცვის ორგანოებისგან, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი რეკომენდაციები შეიძლება შეიცვალოს. რელევანტური ინფორმაცია შეიძლება ასევე ხელმისაწვდომი იყოს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რომლებიც კლიენტის ბიზნესსექტორში საქმიანობენ. ეს დოკუმენტი მიზნად არ ისახავს ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას, ის უფრო ზოგად ინფორმაციას იძლევა და არა დარგისთვის სპეციფიკურ მითითებებს. მაღალრისკიან სექტორებში მოღვაწე კლიენტები უნდა სარგებლობდნენ დარგისთვის სპეციფიკური პროცედურებით და სტანდარტებით.


გთხოვთ გაითვალისწინეთ, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი ძალისხმევით, რომელიც მიმართული იყო ამ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტის, სისრულის და სიახლის უზრუნველსაყოფად, გარემოებები შეიძლება სწრაფად შეიცვალოს და ამდენად ეს დოკუმენტი შესაძლოა არ ასახავდეს მიმდინარე მოვლენებს. IFC არ იძლევა გარანტიას ამ ნაშრომის შინაარსის სიზუსტის, სანდოობის ან სისრულის შესახებ, ან მასში აღწერილი დასკვნების ან გადაწყვეტილებების შესახებ და არ იღებს პასუხისმგებლობას ან ვალდებულებას ნებისმიერი გამოტოვებული ინფორმაციის ან შეცდომისთვის, ან მასში წარმოდგენილ ინფორმაციაში არსებული შეუსაბამობებისთვის და ასევე არ იღებს პასუხისმგებლობას ან ვალდებულებას მასში მოწოდებული ინფორმაციის, მეთოდების, პროცესების, დასკვნების ან გადაწყვეტილებების გამოყენების შემთხვევაში მიღებულ შედეგებზე. ამ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის გამიზნული რომ შეადგენდეს სამართლებრივ, ბიზნეს ან სამედიცინო რეკომენდაციას და არ უნდა მოხდეს მასზე დაყრდნობა ან არ უნდა იქნეს მიჩნეული კლიენტების პროფესიონალი კონსულტანტებისგან მიღებული რეკომენდაციების ჩამნაცვლებლად.

გავრცელება: IFC ხელს უწყობს მისი ნაწარმოების გავრცელებას და მკითხველს შეუძლია ამ მასალების რეპროდუცირება და გავრცელება საგანმანათლებლო და არაკომერციული მიზნებისათვის, იმ პირობით, რომ არის მითითებული შესაბამისი წყარო და იქვე მოცემულია პასუხისმგებლობის შემცირების ჩანაწერი.

მაღლობას ვუხდით Ergon Associates ამ პროდუქტის შექმნაში შეტანილი წვლილისთვის.

Learn more about IFC and the work we do to improve ESG practices: [ifc.org/sustainability](http://ifc.org/sustainability)  
 2121 Pennsylvania Avenue, N.W.  
 Washington D.C., 20433 USA  
 Internet: [www.ifc.org](http://www.ifc.org)

In Partnership with:



Federal Department of Economic Affairs,  
 Education and Research EAER  
 State Secretariat for Economic Affairs SECO

